Project funded by EUROPEAN UNION

„შემოქმედებითი ტურიზმი, კულტურული პროდუქტები ტურიზმისათვის და მეწარმეობა“

ტრენინგები შემოქმედებითი ტურიზმის მომსახურების მიმწოდებლებისათვის

გამოცხადება

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი 17 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს იწვევს შემდეგ ტრენინგებზე მონაწილეობის მისაღებად:

1. შემოქმედებითი ტურიზმი -- 17,18,20,21 მაისი
2. კულტურული პროდუქტები ტურიზმისთვის --- 24, 25, 27, 28 მაისი
3. მეწარმეობა ---- 31 მაისი, 1, 3,4 ივნისი

ტრენინგები ჩატარდება ონლაინ. თითოეულ თემას დაეთმობა 4 დღე (დღეში საშუალოდ 4 საათი). კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

I. შემოქმედებითი ტურიზმი

1. შემოქმედებითი ტურიზმის ინდუსტრიის გაცნობა;
2. შემოქმედებითი ტურისტული პროდუქტი;
3. ტურისტული ინფრასტრუქტურა: პროდუქტის/ შეთავაზებების წარდგენა;
4. ციფრული მარკეტინგისა და ელ-კომერციის შესაძლებლობები მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ტურიზმის სექტორში

II. კულტურული პროდუქტები ტურიზმისთვის

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის და მასზე დაფუძნებული კულტურული პროდუქტების კონცეფციის გაცნობა, ურთიერთკავშირი ტურიზმის ინდუსტრიასთან;
2. მემკვიდრეობაზე დაფუძნებული კულტურული პროდუქტები: მახასიათებლები, ბრენდინგი, განვითარება და პრეზენტაცია;
3. მობილური ფოტოგრაფია;
4. ფასწარმოქმნა;
5. სამიზნე აუდიტორია და გაყიდვების არხები;
6. საავტორო უფლებები და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული პროდუქტები

III. მეწარმეობა

1.იდეისა და გუნდის ფორმირება;
2. აუცილებელი ინსტრუმენტები;
3. მომხმარებელთა განვითარება;
4. MVP-მინიმალური სიცოცხლისუნარიანი პროდუქტი;
5. გაყიდვები და დისტრიბუცია;
6. ფანდრაიზინგი/თანხის მოზიდვა

ვის შეუძლია მონაწილეობა?

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ტრადიციული რეწვის და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მეწარმეებს, ფოლკლორული ჯგუფების, აგროტურისტული ობიექტების მენეჯერებს, ტრადიციული მეურნეობის მქონე ფერმერებს და აღნიშნულ სფეროებში ბიზნესის დაწყების მსურველებს. მონაწილეების შერჩევა მოხდება ღია კონკურსის საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

უპირატესობა მიენიჭებათ რეგიონებში მაცხოვრებელ კანდიდატებს, და მათ, ვინც შეძლებს ტრენინგების სამივე თემის მოსმენას (ჯამში 12 ტრენინგის დღე). დასრულებისას მონაწილეს გადაეცემა ტრენინგზე დასწრების სერტიფიკატი.

ტრენინგების გავლის შემდეგ, მონაწილეები შეძლებენ:

- სასწავლო მასალების მიღებას;
- წარმატებული იდეების, პროდუქტებისა და მომსახურებების განხორციელებას;
- ვებ-პორტალზე თავიანთი ბიზნესის შესახებ ინფორმაციის განთავსებას;
- ტურის პროგრამაში ჩართვას;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტული სააგენტოების ინფო-ტურებში მონაწილეობას;
- საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობას.

ტრენინგებზე დასწრება უფასოა. მსურველებმა 2021 წლის 12 მაისის ჩათვლით უნდა შეავსონ განაცხადის ფორმა ბმულზე: https://bit.ly/2S1FoMq

Project funded by EUROPEAN UNION

Tourism, Heritage and Creativity

Black Sea CROSS BORDER COOPERATION

ტრენინგები ხორციელდება ცენტრის მიმდინარე პროექტის THC „ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა“ ფარგლებში. პროექტის მიზანია ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობის სექტორების ერთმანეთთან დაკავშირება, მათი საერთო განვითარების ხელშეწყობის მიზნით. პროექტის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებები ემსახურება შემოქმედებითი ტურიზმის შემოთავაზებების და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული კულტურული პროდუქტების დახმარებით ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას. THC დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთობლივი სამოქმედო პროგრამის მხარდაჭერით. პროექტი მიმდინარეობს სამ ქვეყანაში: ბულგარეთში, უკრაინასა და საქართველოში.

ტრენინგები „კულტურული პროდუქტები ტურიზმისთვის“ ხორციელდება USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით ხელოვნების საერთაშიროსო ცენტრის პროექტის *„ახალი შესაძლებლობები რეწვის ინდუსტრიის განვითარებისთვის“* ფარგლებში.

USAID ამერიკელი ხალხისგან THE USAID ECONOMIC SECURITY PROGRAM

GEORGIAN ARTS & CULTURE CENTER GACC

საკონტაქტო ინფორმაცია:
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
www.gaccgeorgia.org
მის: ნიკო ნიკოლაძის ქ. #7, თბილისი- 0108, საქართველო
ტელ: (+995 32) 293 13 35;
მობ.: +995 599 275 075;
ელ. ფოსტა: nana@gaccgeorgia.org